

THE ALTERNATIVE HERO AND THE TRANSFORMATION OF NATIONAL IDENTITY IN AKA MORCHILADZE'S "A JOURNEY TO KAKHETI IN 1855"

ალტერნატიული გმირი და ეროვნული იდენტობის ტრანსფორმაცია აკა მორჩილაძის მოთხრობაში „მოგზაურობა კახეთში 1855“

Inga Shamilishvili

Doctor of Philology, Professor
Batumi Shota Rustaveli State University,
35/32 Rustaveli/Ninoshvili St., Batumi, 6010, Georgia,
+995577437137, Inga_shamilishvili@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0004-1784-6026>

Nino Nakashidze

Doctoral student of the Doctoral Educational Program in Philology,
Batumi Shota Rustaveli State University,
35/32 Rustaveli/Ninoshvili St., Batumi, 6010, Georgia,
+995577270235, Nakashidzeninuca@gmail.com
<https://orcid.org/0009-0004-2967-6490>

Abstract. Postmodern theory increasingly conceptualizes history not as a neutral account of past events, but as a narratively constructed text. Gérard Genette's theory of transtextuality, particularly the concept of hypertextuality, provides an effective analytical framework for examining the narrative representation of the past. Within this framework, a new text emerges through the transformation of a hypotext and may take the form of transformation or imitation. Such processes generate a new semantic space in which characters, plot elements, and symbols are recontextualized within new and often radically different settings.

This paper examines the transformation of the character of Luarsab Tatkaridze from the hypotext of Ilia Chavchavadze's "Katsia-Adamiani?!" into the hypertext of Aka Morchiladze's „A Journey to Kakheti in 1855“, and analyzes how this transformation constructs an alternative model of heroism within the framework of rethinking national identity. A character who initially functioned as an object of national critique is recontextualized as a potential agent of historical agency.

In Chavchavadze's text, Luarsab symbolizes passivity and social inertia, whereas in Morchiladze's narrative he emerges as an active agent within the narrative. The historical setting, nineteenth-century Kakheti, along with the social environment and the experience of collective tragedy, places the character in circumstances that enable choice and action, thereby transforming his narrative function.

Morchiladze thus enacts a semantic displacement of Luarsab's character. While the hypertext maintains its connection to the hypotext, it assigns new significance to the character's role. This transformation exemplifies the central effect of hypertextual transformation.

Ultimately, Morchiladze's narrative offers a critical re-evaluation of national identity. The reinterpretation of Luarsab Tatkaridze demonstrates that national symbols are neither fixed nor immutable; rather, they acquire new meanings through textual transformation. In this way, established character models are reshaped, generating an alternative paradigm of heroism within the realm of imaginative history.

Keywords: Hypertext; Hypotext; Aka Morchiladze; Ilia Chavchavadze; Historical Narrative; alternative history.

ინგა შამილიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35 6010, საქართველო,

+995577437137, Inga_shamilishvili@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0004-1784-6026>**ნინო ნაკაშიძე**

ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35 6010, საქართველო,

+995577270235, Nakashidzeninuca@gmail.com

<https://orcid.org/0009-0004-2967-6490>

აბსტრაქტი. პოსტმოდერნისტულ თეორიაში ისტორია სულ უფრო ხშირად განიხილება არა როგორც წარსულის ფაქტების ნეიტრალური აღწერა, არამედ როგორც ნარატიული ფორმით ორგანიზებული ტექსტი. ჟერარ ჟენეტის ტრანსტექსტუალურობის თეორია, კონკრეტულად კი ჰიპერტექსტუალურობის ცნება, წარსულის ნარატიული წარმოდგენის ანალიზის საფუძვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ. ახალი ტექსტი ჰიპოტექსტის გადამუშავების შედეგად იქმნება და შეიძლება მის ტრანსფორმაციას ან იმიტაციას წარმოადგენდეს. სწორედ ასეთი ტრანსფორმაციები ქმნის ახალ სემანტიკურ სივრცეს, სადაც თავდაპირველი პერსონაჟები, სიუჟეტური ელემენტები და სიმბოლოები სრულიად განსხვავებულ კონტექსტში გვევლინება.

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ გარდაიქმნება ლუარსაბ თათქარიძე ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-ის ჰიპოტექსტიდან აკა მორჩილაძის „მოგზაურობა კახეთში 1855“-ის ჰიპერტექსტში და როგორ ქმნის ეს ტრანსფორმაცია ალტერნატიული გმირის მოდელს ეროვნული იდენტობის ახლებურად გადააზრების კონტექსტში. პერსონაჟი, რომელიც თავდაპირველ ტექსტში ეროვნული კრიტიკის ობიექტი იყო, ახალ ნარატიულ კონტექსტში ისტორიული მოქმედების შესაძლებლობის მატარებლად იქცევა.

ილიას ტექსტში ლუარსაბი უმოქმედობისა და სოციალური ინერტულობის სიმბოლოა, მორჩილაძის ტექსტში კი იგი მოვლენების აქტიურ მონაწილედ გვევლინება. ისტორიული გარემო, XIX საუკუნის კახეთი, საზოგადოება და კოლექტიური ტრადიციის გამოცდილება პერსონაჟს წარმოგვიდგენს ისეთ ვითარებაში, სადაც არჩევანისა და მოქმედების შესაძლებლობა ჩნდება და იცვლება ლუარსაბის ფუნქციაც.

აკა მორჩილაძე ახდენს ლუარსაბის პერსონაჟის სემანტიკურ გადაადგილებას. ჰიპერტექსტი ინარჩუნებს კავშირს ჰიპოტექსტთან, თუმცა პერსონაჟის ფუნქციას ახალ მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ამ ტრანსფორმაციაში ვლინდება ჰიპერტექსტუალური გადამუშავების მთავარი ეფექტი.

მორჩილაძის ნარატივი გვთავაზობს ეროვნული იდენტობის კრიტიკულ გადააზრებას. ლუარსაბ თათქარიძის პერსონაჟის ახლებური ინტერპრეტაცია აჩვენებს, რომ ეროვნული სიმბოლოები ფიქსირებული და უცვლელი არ არის; ისინი ტექსტუალური გადამუშავების პროცესში ახალ მნიშვნელობებს იძენს, პერსონაჟის დამკვიდრებულ სახეს სხვა ნარატიულ ფუნქციას ანიჭებს და წარმოსახვითი ისტორიის სივრცეში ალტერნატიული გმირის მოდელს ქმნის, რომელიც ეროვნული იდენტობის განსხვავებულ ხედვას წარმოაჩენს.

საკვანძო სიტყვები: ჰიპერტექსტი; ჰიპოტექსტი; აკა მორჩილაძე; ილია ჭავჭავაძე; ისტორიული ნარატივი; ალტერნატიული ისტორია.

შესავალი. თანამედროვე კვლევებში ისტორია სულ უფრო ხშირად განიხილება არა როგორც წარსულის ფაქტების ნეიტრალური აღწერა, არამედ როგორც ნარატიული ფორმით ორგანიზებული ტექსტი. პოსტმოდერნულ თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, რომ ისტორიული და მხატვრული ტექსტები ხშირად მსგავს რიტორიკულ და კომპოზიციურ სტრატეგიებს იყენებენ. ლინდა ჰატჩონის მოსაზრებით წარსული რეალურად არსებობდა, თუმცა ჩვენ მას დღეს მხოლოდ ტექსტების მეშვეობით ვიცნობთ (Hutcheon, 1988: 129).

ამგვარი ხედვის ფარგლებში ისტორიული და ლიტერატურული ნარატივები შეიძლება გავიგოთ როგორც ტექსტუალური კონსტრუქციები, რომლებიც სხვადასხვა დისკურსული სტრატეგიის საშუალებით ქმნიან ისტორიული რეალობის ინტერპრეტაციებს და არ წარმოადგენენ უბრალოდ ობიექტური ფაქტების პირდაპირ გადმოცემას (Hutcheon, 1988: 105-106). შედეგად, ისტორია აღარ აღიქმება როგორც ერთიანი და საბოლოო ჭეშმარიტების მატარებელი ნარატივი, იგი იქცევა ინტერპრეტაციის სივრცედ, სადაც სხვადასხვა ხედვა და მნიშვნელობა ერთმანეთთან თანაარსებობს.

ჰატჩონი ამ პროცესს უფრო კონკრეტულად აღწერს ისტორიოგრაფიული მეტაფიქციის ცნების საშუალებით, ნარატიული ფორმით, რომელიც ერთდროულად მიმართავს ისტორიულ მოვლენებს და ამავე დროს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ისტორიული ცოდნის ობიექტურობის იდეას (Hutcheon, 1988: 105-106). ამგვარი ნარატივი თავისი ბუნებით პარადოქსულია. ერთი მხრივ, იგი ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებსა და პერსონაჟებს, ხოლო მეორე მხრივ, გვიჩვენებს, რომ ისტორიის შესახებ ჩვენი ცოდნა ძირითადად ტექსტებით არის ფორმირებული.

წარსულის ნარატიული წარმოდგენის ანალიზისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჟერარ ჟენეტის ტრანსტექსტუალურობის თეორია, კონკრეტულად კი ჰიპერტექსტუალურობის ცნება. ჟენეტის მიხედვით, ჰიპერტექსტი წარმოადგენს ტექსტს, რომელიც ტრანსფორმაციული ან იმიტაციური მიმართებით არის დაკავშირებული წინარე ტექსტთან - ჰიპოტექსტთან (Genette, 1997). ახალი ტექსტი ჰიპოტექსტის გადამუშავების შედეგად იქმნება და შეიძლება მის ტრანსფორმაციას ან იმიტაციას წარმოადგენდეს.

ამგვარად, ჰიპერტექსტი არა მხოლოდ იმეორებს წინარე ტექსტს, არამედ ახდენს მისი პერსონაჟების, სიუჟეტისა და სიმბოლური სტრუქტურების ტრანსფორმაციას. სწორედ ასეთი ტრანსფორმაციები ქმნის ახალ სემანტიკურ სივრცეს, სადაც თავდაპირველი პერსონაჟები, სიუჟეტური ელემენტები და სიმბოლოები სრულიად განსხვავებულ კონტექსტში შეიძლება წარმოჩინდეს. განსაკუთრებით საინტერესო ხდება ეს პროცესი მაშინ, როდესაც ჰიპოტექსტი უკვე კულტურულ კანონად არის ქცეული და მისი პერსონაჟები ეროვნული კულტურული მეხსიერების ნაწილად ფუნქციონირებენ.

ჰიპერტექსტუალური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად თანამედროვე ლიტერატურაში გვევლინება ალტერნატიული ისტორიის ნარატიული მოდელი. კარენ ჰელექსონის აზრით ალტერნატიული ისტორიის ცენტრალური მექანიზმი არის ე.წ. ბიფურკაციის წერტილი - ისტორიული მომენტი, როდესაც მოვლენები განსხვავებულ მიმართულებას იძენს და ისტორია სხვა გზით ვითარდება (Hellekson, 2001: 5-7). ასეთი ნარატივები ეფუძნება კითხვას „რა იქნებოდა, რომ...“, რომლის მეშვეობითაც ტექსტი წარსულის განსხვავებულ შესაძლო ვერსიას წარმოსახავს.

ამგვარი ნარატიული სტრატეგია წარმოადგენს არა მხოლოდ ლიტერატურულ ექსპერიმენტს, არამედ აძლიერებს კრიტიკულ დამოკიდებულებას არსებული ისტორიული ნარატივების მიმართ და ქმნის შესაძლებლობას, ისტორიული გამოცდილება მრავალმხრივად იქნას გააზრებული.

ალტერნატიული ისტორიის ნარატიული შესაძლებლობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმ კულტურულ გარემოში, სადაც ისტორიის გადაფასება არა მხოლოდ ესთეტიკური, არამედ იდეოლოგიური საჭიროებაცაა. სწორედ ასეთ კონტექსტს წარმოადგენს პოსტსაბჭოთა კულტურული სივრცე. საბჭოთა პერიოდის ერთიანი ისტორიული ნარტივის დაშლის შემდეგ წარსულის ახალი ინტერპრეტაციები ხშირად

ერთდროულად გვევლინება როგორც ლიტერატურული ექსპერიმენტი და როგორც ისტორიული გამოცდილების კრიტიკული გააზრების მცდელობა.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკა მორჩილადის პროზას, სადაც ისტორია ხშირად წარმოდგენილია როგორც ნარატიული ექსპერიმენტის სივრცე, ხოლო ისტორიული პერსონები ახალი მნიშვნელობით გააზრებული პერსონაჟების სახით წარმოგვიდგება.

მეთოდები. წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, როგორ გარდაიქმნება ლუარსაბ თათქარიძის პერსონაჟი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-ის ჰიპოტექსტიდან აკა მორჩილადის „მოგზაურობა კახეთში 1855“-ის ჰიპერტექსტში და როგორ ქმნის ეს ტრანსფორმაცია ალტერნატიული გმირის მოდელს ეროვნული იდენტობის ახლებურად გააზრების კონტექსტში.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დავსვით ორი ძირითადი ამოცანა, კერძოდ რა ნარატიული მექანიზმების საშუალებით იცვლება პერსონაჟის (ლუარსაბ თათქარიძე) ფუნქცია სატირული სოციალური ფიგურიდან ალტერნატიული გმირის მოდელამდე და როგორ მოქმედებს ლუარსაბ თათქარიძის ჰიპერტექსტუალური ტრანსფორმაცია ეროვნული იდენტობის კულტურულ ნარატივებზე.

კვლევა ეფუძნება ტექსტის კომპარატიულ-ინტერპრეტაციულ მეთოდს და მოიცავს ნარატოლოგიური და ინტერტექსტუალური ანალიზის ელემენტებს. მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ჟერარ ჟენეტის ჰიპერტექსტუალურობის თეორია, რომლის მეშვეობითაც ხდება ჰიპოტექსტსა და ჰიპერტექსტს შორის არსებული ტრანსფორმაციული ურთიერთობის ანალიზი. კვლევა ასევე ეყრდნობა ალტერნატიული ისტორიის თეორიას, რომელიც საშუალებას იძლევა გავანალიზოთ ისტორიის ნარატიული გადამშუავების სტრატეგიები. პერსონაჟის სიმბოლური ფუნქციისა და მისი კულტურული მნიშვნელობის გასააზრებლად გამოყენებულია კულტურული მეხსიერებისა და ეროვნული ნარატივის კონცეპტუალური ჩარჩოები.

შედეგები და მსჯელობა. ლუარსაბ თათქარიძის ფიგურა ილია ჭავჭავაძის ტექსტში ყალიბდება, როგორც სოციალური სატირის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი სახე. ავტორი პერსონაჟის მეშვეობით წარმოაჩენს იმ სოციალურ, ეკონომიკურ და მენტალურ მდგომარეობას, რომელიც XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებით მწვავედ აღიქმებოდა. ილია აღნიშნავს „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“ (ჭავჭავაძე 1984: 269) და ამით ხაზს უსვამს, რომ საქმე კონკრეტულ პიროვნებასთან კი არა, არამედ განზოგადებულ სახესთან გვაქვს.

ილია ლუარსაბის პერსონაჟს სატირული ირონიის საშუალებით ქმნის. მისი ყოველდღიური ცხოვრება წარმოჩენილია როგორც აბსურდული და სოციალური უმოქმედობის მაგალითი. მისი ცხოვრების მთავარი მიზანი ფიზიკური კეთილდღეობის შენარჩუნებაა, რაც ტექსტში ხაზგასმულია ირონიული აღწერებით. როგორც მოთხრობაში ვკითხულობთ, „თორემ რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით, ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა“. (ჭავჭავაძე 1984: 273). ლუარსაბის პერსონაჟი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კულტურული მეხსიერების კონტექსტში. დროთა განმავლობაში იგი ქართულ კულტურულ სივრცეში დამკვიდრდა როგორც ერთგვარი სიმბოლური კოდი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება საკუთარ ისტორიულ გამოცდილებასა და ეროვნულ თვითაღქმას აფასებდა. სწორედ ამ კონტექსტში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ლუარსაბის პერსონაჟის ხელახალი გამოჩენა თანამედროვე ქართულ პროზაში. აკა მორჩილადე თავის ტექსტში მიმართავს ლუარსაბს, როგორც უკვე კულტურულად დამკვიდრებულ სიმბოლოს. შესაბამისად, ეს დაბრუნება მხოლოდ ინტერტექსტუალური ჟესტი არ არის. იგი წარმოადგენს ჰიპერტექსტუალურ

ტრანსფორმაციას, რომელიც წინარე ტექსტში ჩამოყალიბებულ პერსონაჟს ახალ ნარატიულ ფუნქციასა და მნიშვნელობას ანიჭებს.

აკა მორჩილაძის მოთხრობაში „მოგზაურობა კახეთში 1855“ ლუარსაბ თათქარიძეს სრულიად განსხვავებულ ნარატიულ გარემოში ვხედავთ. თუ „კაცია-ადამიანი?!“-ში ლუარსაბი უმოქმედობისა და სოციალური უსარგებლობის სიმბოლოა, მორჩილაძის ნარატივში პერსონაჟი უკვე ისტორიული პროცესის ნაწილად გვევლინება. ტექსტის დასაწყისშივე იგი წარმოდგენილია როგორც თავადთა სოციალური ფენის წარმომადგენელი, რომელიც წინაპრების მემკვიდრეობით იდენტობასა და ისტორიულ რეალობას შორის აღმოჩნდება. ტექსტში, სადაც ლუარსაბი საგვარეულო ეკლესიის ეზოში დგას და „დასცქერის გაჭრილ სამარეს“, ხოლო მის გარშემო შეკრებილი თავადები და გლეხები საერთო ტრაგიკული გამოცდილების მოწმეებად გვევლინებიან, ქმნის სრულიად განსხვავებულ ატმოსფეროს, სადაც პერსონაჟი უკვე კოლექტიური ისტორიული გამოცდილების სივრცეში ჩნდება. ამ ნარატიულ კონტექსტში ლუარსაბის პერსონაჟი აღარ არის მხოლოდ ირონიული დაკვირვების ობიექტი, ავტორი მას აძლევს მოქმედების შესაძლებლობას და ისტორიული რეალობის აქტიურ მონაწილედ წარმოაჩენს. პერსონაჟის გარემო, ოჯახი, საგვარეულო ეკლესია, წინაპრების საფლავები, ქმნის იმ კულტურულ სივრცეს, სადაც ინდივიდუალური იდენტობა პირდაპირ უკავშირდება ისტორიულ მეხსიერებას. სწორედ ამ კონტექსტში ხდება ლუარსაბის სემანტიკური გადაადგილება, კერძოდ, უმოქმედობის სიმბოლოდ ქცეული ილიას პერსონაჟი ისტორიული პასუხისმგებლობის სივრცეში გადადის.

ა. მორჩილაძის ნარატივში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავადური სამყაროს კოლექტიურ გამოცდილებას. ტექსტში აღწერილია თავადებისა და გლეხების შეკრება, საერთო გლოვა და საგვარეულო მეხსიერების სიმბოლური მნიშვნელობა. ეს კოლექტიური ატმოსფერო პირდაპირ ჩანს ნარატორის აღწერაშიც: „გარემომო კი გარინდებულიყო მთელი კახეთის თავადობა“ (მორჩილაძე, 2021: 112). ასეთი აღწერით ავტორი ქმნის ისტორიული საზოგადოების სურათს, სადაც ინდივიდუალური პერსონაჟები კოლექტიური ხვედრის ნაწილად გვევლინებიან. სწორედ ამ კოლექტიურ კონტექსტში ხდება ლუარსაბის ტრანსფორმაცია, მისი ჰიპერტექსტუალური გადაადგილება. პერსონაჟი ინარჩუნებს ჰიპოტექსტთან გარკვეულ კავშირს, თავადური წარმომავლობა, სოციალური გარემო, კულტურული კოდები, თუმცა მისი ნარატიული ფუნქცია მნიშვნელოვნად იცვლება. სწორედ ამ ცვლილებაში ვლინდება ჰიპერტექსტუალური ტრანსფორმაციის ეფექტი: პერსონაჟი, რომელიც თავდაპირველ ტექსტში ეროვნული კრიტიკის ობიექტი იყო, ახალ ნარატიულ კონტექსტში ისტორიული მოქმედების შესაძლებლობის მატარებელი ხდება.

პოსტმოდერნისტულ ტექსტში ლუარსაბ თათქარიძის ტრანსფორმაცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ნარატიულ სტრატეგიებში, რომლებიც პერსონაჟის ფუნქციას ცვლის, იგი იქცევა აქტიურ გმირად, რომლის გამოცდილებაც ისტორიული რეალობის აღქმას განსაზღვრავს. ამ ცვლილებას კი ქმნის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნარატიული მექანიზმი.

უპირველესად ტექსტი ცვლის პერსონაჟის პოზიციას ნარატივში. ილიასთან ლუარსაბის ყოველდღიური ცხოვრება ირონიული აღწერებით არის წარმოდგენილი, ხოლო მორჩილაძის რომანში ნარატივი ხშირად პერსონაჟის ხედვასთან უფრო ახლოსაა, პერსონაჟი კოლექტიური ისტორიული გამოცდილების ნაწილი ხდება.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება უკავშირდება პერსონაჟის მოქმედებას. ილიას ტექსტში ლუარსაბი უმოქმედობისა და სოციალური ინერტულობის სიმბოლოა. მისი ცხოვრება კომიკური სტაგნაციის მდგომარეობაშია. მორჩილაძის ტექსტში კი იგი მოვლენების აქტიურ მონაწილედ გვევლინება. ისტორიული გარემო, XIX საუკუნის კახეთი, საზოგადოება და კოლექტიური ტრაგედიის გამოცდილება მას წარმოგვიდგენს ისეთ ვითარებაში, სადაც არჩევანისა და მოქმედების შესაძლებლობა ჩნდება და იცვლება ლუარსაბის ფუნქციაც.

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება პერსონაჟის სიმბოლურ ფუნქციას ეხება. ჟერარ ჟენეტის ტერმინოლოგიით, ასეთ შემთხვევაში ჰიპერტექსტი ახორციელებს ჰიპოტექსტის პერსონაჟის ფუნქციის ტრანსფორმაციას და მას ახალ სემანტიკურ კონტექსტში ათავსებს. ამგვარი ტრანსფორმაცია ასევე უკავშირდება ალტერნატიული ისტორიის ნარატიულ სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც ტექსტი უკვე ცნობილ ისტორიულ და კულტურულ ფიგურებს ახალ ინტერპრეტაციულ სივრცეში ათავსებს. მორჩილამის ტექსტში ლუარსაბი ხდება პერსონაჟი, რომლის მეშვეობითაც ისტორიის ალტერნატიული ვერსია წარმოჩინდება.

ამგვარად, აკა მორჩილამე ახდენს ლუარსაბის პერსონაჟის სემანტიკურ გადაადგილებას. ჰიპერტექსტი ინარჩუნებს კავშირს ჰიპოტექსტთან, თუმცა პერსონაჟის ფუნქციას ახალ მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ამ ტრანსფორმაციაში ვლინდება ჰიპერტექსტუალური გადამუშავების მთავარი ეფექტი.

ლუარსაბ თათქარიძის ჰიპერტექსტუალური ტრანსფორმაცია აკა მორჩილამის ტექსტში მხოლოდ პერსონაჟის ნარატიული ფუნქციის ცვლილებას არ გულისხმობს. ამ პროცესის შედეგად იგი ახალ სიმბოლურ სტატუსს და განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გმირის ცნების დაზუსტება. კლასიკურ ისტორიულ ნარატივებში გმირი, როგორც წესი, წარმოდგენილია პერსონაჟად, რომელიც გამორჩეული მოქმედებით, მსხვერპლით ან ისტორიული მისიის შესრულებით განსაზღვრავს მოვლენათა მიმდინარეობას მსგავსი პერსონაჟი ისტორიის შემქმნელია და ხშირად ეროვნული ნარატივის ცენტრალურ ფიგურად გვევლინება. პოსტმოდერნისტულ ტექსტში ლუარსაბის ფიგურა ამ მოდელს არ შეესაბამება: იგი არ არის კლასიკური გმირი, რომელიც ისტორიულ პროცესს მოქმედებით ცვლის. პერსონაჟი თავად აღიარებს, რომ „მე... ომისა, რა გამეგება?“ (მორჩილამე, 2021: 122), რითაც ხაზს უსვამს მის მოუძნადებლობას არსებულ რეალობაში, მაგრამ იგი მაინც ერთვება ისტორიულ პროცესში და კოლექტიური გამოცდილების ნაწილად იქცევა. სწორედ ამ პოზიციიდან ყალიბდება ალტერნატიული გმირის მოდელი: პერსონაჟი, რომელიც სრულყოფილი გმირის სახეს არ წარმოადგენს, თუმცა თავისი არასრულყოფილებითა და ისტორიულ რეალობასთან უშუალო შეხებით გვთავაზობს ეროვნული გამოცდილების სხვაგვარ პერსპექტივას.

მსგავსი პერსონაჟის გასაანალიზებლად განსაკუთრებით პროდუქტიულია ჰერმან ნორტოპ ფრაის გმირის ტიპოლოგია, რომლის მიხედვით ლიტერატურულ ნარატივში სხვა პერსონაჟებთან თუ გარემო პირობებთან მიმართებით გმირის ტიპი განისაზღვრება მისი ძალაუფლებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ფრაის მიერ გამოყოფილ ირონიულ მოდელში გმირი წარმოდგენილია როგორც სუსტი, ხშირად არაკომპეტენტური ფიგურა, რომელიც მკითხველთან შედარებით ნაკლებ შესაძლებლობებსა და რესურსებს ფლობს (Frye, 2000: 34). ასეთ შემთხვევაში გმირი ძალითა თუ ინტელექტით ჩამორჩება არა მხოლოდ გარემოს, არამედ თვით მკითხველსაც, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა აღიქმება როგორც დაქვემდებარება, იმედგაცრუება ან აბსურდი.

ილია ჭავჭავაძის ტექსტში ლუარსაბ თათქარიძე სწორედ ირონიული გმირის ამ მოდელს განეკუთვნება. ლინდა ჰატჩონი განიხილავს, თუ როგორ გარდაქმნის პოსტმოდერნისტული ნარატივი აღნიშნულ ტიპოლოგიას, სადაც პერსონაჟი ისტორიის აქტიური შემქმნელის ნაცვლად მისი ინტერპრეტატორის ფუნქციას იძენს, კარგავს სტაბილურ ტიპოლოგიურ სტატუსს და იქცევა დინამიკურ ფიგურად, რომლის მნიშვნელობა ნარატიულ სტრატეგიებზეა დამოკიდებული.

ამრიგად, ფრაის ირონიული მოდელისა და ჰატჩონის პოსტმოდერნული ინტერპრეტატორის პერსპექტივების გადაკვეთა გვამძლევს თეორიულ საფუძველს მორჩილამის ტექსტში ლუარსაბის ფიგურის ტრანსფორმაციის გასააზრებლად.

ალტერნატიული გმირი ამ შემთხვევაში არის პერსონაჟის ისეთი ფიგურა, რომელიც არ შეესაბამება გმირის ტრადიციულ მოდელს, თუმცა მაინც ხდება ისტორიული გამოცდილების მნიშვნელობის მატარებელი. მისი მნიშვნელობა ეფუძნება არა გმირის დიდებით ან განსაკუთრებული ისტორიული მისიის შესრულებას, არამედ იმით, რომ იგი

ისტორიული რეალობის უშუალო მოწმე და მონაწილე ხდება. სწორედ ამგვარი პერსონაჟის საშუალებით ყალიბდება ისტორიის განსხვავებული ხედვა.

ამგვარად, მორჩილადის ტექსტში ლუარსაბ თათქარიძის პერსონაჟი გადადის სატირული სოციალური პერსონაჟის სტატუსიდან ალტერნატიული გმირის მოდელში. პერსონაჟი აღარ არის მხოლოდ ეროვნული უმოქმედობის სიმბოლო. იგი იქცევა ისტორიული გამოცდილების მონაწილედ, რომლის მეშვეობითაც ტექსტი ახლებურად წარმოაჩენს ისტორიისა და ეროვნული თვითაღქმის შესაძლებლობებს. სწორედ ამ ტრანსფორმაციაში ვლინდება ჰიპერტექსტუალური გადამუშავების მთავარი ეფექტი - უკვე ცნობილი პერსონაჟი ახალ ნარატიულ ფუნქციას იძენს და ისტორიული რეალობის განსხვავებული ინტერპრეტაციის მატარებელი ხდება.

ლუარსაბ თათქარიძის ტრანსფორმაცია აკა მორჩილადის ტექსტში მხოლოდ პერსონაჟის ნარატიულ ფუნქციას არ ცვლის. ეს ცვლილება ეხება იმ სიმბოლურ სისტემასაც, რომლის მეშვეობითაც ეროვნული იდენტობა კულტურულ ნარატივებში კონსტრუირდება. ლიტერატურული ტექსტები ხშირად ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კოლექტიური თვითაღქმის ფორმირებაში, რადგან ისინი ქმნიან სიმბოლურ მოდელებს, რომელთა საშუალებითაც საზოგადოება საკუთარ წარსულსა და ისტორიულ გამოცდილებას აღიქვამს.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბენედიქტ ანდერსონის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ერი წარმოადგენს „წარმოსახვით პოლიტიკურ საზოგადოებას“ (Anderson, 2006: 6). ეროვნული ერთობა ეფუძნება არა უშუალოდ პირად ურთიერთობას, არამედ საერთო წარმოდგენებსა და ნარატივებს, რომლებიც კოლექტიური იდენტობის საფუძველს ქმნის. ამგვარ ნარატივებში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სიმბოლური ფიგურები, რომლებიც ისტორიული გამოცდილების ინტერპრეტაციას და ეროვნული აღქმის ფორმირებას უწყობს ხელს.

ამგვარი ცვლილება განსაკუთრებით საინტერესო ხდება კულტურული მეხსიერების პერსპექტივიდან. იან ასმანის მიხედვით, კულტურული მეხსიერება მოიცავს იმ ტექსტებსა და სიმბოლურ ფიგურებს, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება საკუთარ წარსულს ინახავს და კოლექტიურ იდენტობას აყალიბებს (Assmann, 2011: 5-7). ასეთ ფიგურებად ხშირად იქცევიან ლიტერატურული პერსონაჟებიც.

ლუარსაბის ახლებური ინტერპრეტაცია გვთავაზობს წინარე ტექსტის პერსონაჟის ტრანსფორმაციას, გადაიაზრებს საზოგადოების მეხსიერებაში დამკვიდრებულ კულტურულ მნიშვნელობას, რის შედეგადაც პერსონაჟი, რომელიც თავდაპირველ ტექსტში ეროვნული კრიტიკის ობიექტი იყო, ახალ ნარატიულ კონტექსტში ისტორიული გამოცდილების განსხვავებული ინტერპრეტაციის მატარებელია.

ამგვარად, აკა მორჩილადე გვთავაზობს ეროვნული იდენტობის კრიტიკულ გადააზრებას. ლუარსაბ თათქარიძის ახლებური ინტერპრეტაცია აჩვენებს, რომ ეროვნული სიმბოლოები ფიქსირებული და უცვლელი არ არის. ისინი სხვადასხვა ტექსტში ახალ მნიშვნელობას იძენენ და ამ გზით ეროვნული იდენტობის განსხვავებულ ხედვებს აყალიბებენ.

დასკვნები. წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ აკა მორჩილადის მოთხრობა „მოგზაურობა კახეთში 1855“ შეიძლება განვიხილოთ როგორც ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-ის ჰიპერტექსტუალური გადამუშავება. ჟერარ ჟენეტის ჰიპერტექსტუალობის მოდელის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ლუარსაბ თათქარიძის პერსონაჟის ტრანსფორმაციის ანალიზი ჰიპოტექსტიდან ჰიპერტექსტამდე და გამოავლინა ის ნარატიული მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც პერსონაჟი ახალ სემანტიკურ კონტექსტში გადაინაცვლებს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ილია ჭავჭავაძის ტექსტში ლუარსაბი წარმოდგენილია როგორც ეროვნული უმოქმედობისა და სოციალური სტაგნაციის სატირული სიმბოლო, აკა მორჩილადის ნარატივში კი იგივე პერსონაჟი სრულიად

განსხვავებულ ფუნქციას იძენს. ჰიპერტექსტი მას ახალ ისტორიულ და ნარატიულ გარემოში ათავსებს, რის შედეგადაც იგი სატირული სოციალური პერსონაჟის სტატუსიდან ისტორიული გამოცდილების მონაწილე ფიგურად გარდაიქმნება. სწორედ ამ გარდატეხას უსვამს ხაზს ტექსტის ფინალური ეპიზოდი, სადაც პერსონაჟის არჩევანი ისტორიულ მოქმედებად ფორმდება - „ასე წავიდა თავადი ლუარსაბ თათქარიძე ომში.“ (მორჩილაძე, 2021: 122).

აკა მორჩილაძის ნარატივში ლუარსაბის ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს ე.წ. ბიფურკაციის წერტილს, რომელმაც განსაზღვრა პერსონაჟის ფუნქციური გარდატეხა და ნარატივის ალტერნატიული განვითარების გზები. სწორედ ამ მომენტში ყალიბდება ალტერნატიული გმირის მოდელი, პერსონაჟის ისეთი ტიპი, რომელიც არ შეესაბამება ეროვნული გმირის კლასიკურ მოდელს, თუმცა ისტორიული რეალობის უშუალო გამოცდილებით ავლენს წარსულის განსხვავებულ ინტერპრეტაციულ შესაძლებლობას. ლუარსაბ თათქარიძის ასეთი ტრანსფორმაცია მორჩილაძის ტექსტში მხოლოდ ინტერტექსტუალური თამაში არ არის. ჰიპერტექსტუალური გადაწერა აქ იქცევა მექანიზმად, რომლის მეშვეობითაც ტექსტი გადაიაზრებს კულტურულ მეხსიერებაში უკვე დამკვიდრებულ სიმბოლურ სახეს. ამგვარად, მორჩილაძის ნარატივი გვთავაზობს ეროვნული იდენტობის კრიტიკულ გადააზრებას. ლუარსაბ თათქარიძის პერსონაჟის ახალგაზრდა ინტერპრეტაცია აჩვენებს, რომ ეროვნული სიმბოლოები ფიქსირებული და უცვლელი არ არის; ისინი ტექსტუალური გადამუშავების პროცესში ახალ მნიშვნელობებს იძენს, პერსონაჟის დამკვიდრებულ სახეს სხვა ნარატიულ ფუნქციას ანიჭებს და წარმოსახვითი ისტორიის სივრცეში ალტერნატიული გმირის მოდელს ქმნის, რომელიც ეროვნული იდენტობის განსხვავებულ ხედვას წარმოაჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- მორჩილაძე, ა. (2021). *ტერცო მონდო*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ჭავჭავაძე, ი. (1984). *თხზულებანი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- Anderson, B. (2006). *Imagined communities: Reflections on the origin and spread of nationalism*. (Rev. ed.). Verso.
<https://nationalismstudies.org/wp-content/uploads/2021/03/Imagined-Communities-Reflections-on-the-Origin-and-Spread-of-Nationalism-by-Benedict-Anderson-z-lib.org.pdf> (06.04.2025)
- Assmann, J. (2011). *Cultural memory and early civilization: Writing, remembrance, and political imagination*. Cambridge University Press.
https://www.researchgate.net/publication/378472192_Cultural_memory_and_early_civilization_Writing_remembrance_and_political_imagination (06.04.2025)
- Frye, N. (2000). *Anatomy of criticism: Four essays*. Princeton University Press.
https://monoskop.org/images/5/59/Frye_Northrop_Anatomy_of_Criticism_Four_Essays_2000.pdf (06.04.2025)
- Genette, G. (1997). *Palimpsests: Literature in the second degree*. University of Nebraska Press.
https://books.google.ge/books?id=KbYzNp94C9oC&printsec=frontcover&redir_esc=y#v=onepage&q&f=false (06.04.2025)
- Hellekson, K. (2001). *The alternate history: Refiguring historical time*. Kent State University Press.
<https://books.google.ge/books?id=FJryrhjUeisC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false> (06.04.2025)
- Hutcheon, L. (1988). *A poetics of postmodernism: History, theory, fiction*. Routledge.
http://82.194.16.162:8080/xmlui/bitstream/handle/123456789/921/A_POETICS_OF_POSTMODERNISM_by_LINDA_HUTCHEON%20%281%29.pdf?sequence=1&isAllowed=y (06.04.2025)

REFERENCES

- morchiladze, a. (2021). *t'ertso mondo [Terzo Mondo]*. Tbilisi: Bakur Sulakauri Publishing House.
- ch'avch'avadze, i. (1984). *tkhzulebani [Essays]*. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.
- Anderson, B. (2006). *Imagined communities: Reflections on the origin and spread of nationalism*. (Rev. ed.). Verso.
https://nationalismstudies.org/wp-content/uploads/2021/03/Imagined-Communities-Reflections-on-the-Origin-and-Spread-of-Nationalism-by-Benedict-Anderson-z-lib.org_.pdf (06.04.2025)
- Assmann, J. (2011). *Cultural memory and early civilization: Writing, remembrance, and political imagination*. Cambridge University Press.
https://www.researchgate.net/publication/378472192_Cultural_memory_and_early_civilization_Writing_remembrance_and_political_imagination (06.04.2025)
- Frye, N. (2000). *Anatomy of criticism: Four essays*. Princeton University Press.
https://monoskop.org/images/5/59/Frye_Northrop_Anatomy_of_Criticism_Four_Essays_2000.pdf (06.04.2025)
- Genette, G. (1997). *Palimpsests: Literature in the second degree*. University of Nebraska Press.
https://books.google.ge/books?id=KbYzNp94C9oC&printsec=frontcover&redir_esc=y#v=onepage&q&f=false (06.04.2025)
- Hellekson, K. (2001). *The alternate history: Refiguring historical time*. Kent State University Press.
<https://books.google.ge/books?id=FJryrhjUeisC&printsec=frontcover#v=onepage&q&f=false> (06.04.2025)
- Hutcheon, L. (1988). *A poetics of postmodernism: History, theory, fiction*. Routledge.
http://82.194.16.162:8080/xmlui/bitstream/handle/123456789/921/A_POETICS_OF_POSTMODERNISM_by_LINDA_HUTC%20%281%29.pdf?sequence=1&isAllowed=y (06.04.2025)